

შპს „ელკო დისტრიბუშენ“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

საანგარიშგებო წლისთვის

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

შინაარსი

შპს ელკო დისტრიბუშენი-ს მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	6
სრული შემოსავლის ანგარიშგება	11
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	12
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	14
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	15
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	17
შპს ელკო დისტრიბუშენ-ის მმართველობის ანგარიშგება.....	43

შპს აუდიტორული ფირმა „მრჩეველი“
ქ. თბილისი, ბახტრიონის ქ. #11
ბატონო ვასილ,

30 სექტემბერი 2022 წ.

ოფიციალური წერილი 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ჩვენ ვადასტურებთ, რომ მოცემული ინფორმაცია ეყრდნობა ხელმძღვანელობისა და შესაბამისი ცოდნისა თუ გამოცდილების მქონე პერსონალის გამოკითხვას და, საჭიროების შემთხვევაში, მხარდამჭერი დოკუმენტაციის შემოწმების შედეგებს, რომელიც ჩვენთვის საკმარისია, იმაში დასარწმუნებლად, რომ შეგვიძლია სათანადოდ წარმოგიდგინოთ იმ აუდიტთან დაკავშირებული თითოეული განმარტება, რომელიც მოიცავს 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წელს.

ვაცნობიერებთ ჩვენს სამართლებრივ პასუხისმგებლობას, თქვენთვის როგორც აუდიტორებისათვის ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებით და ვადასტურებთ, რომ რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არ არსებობს ისეთი ინფორმაცია, რომლის შესახებაც თქვენ არ იცით და შეიძლება გჭირდებოდეთ, თქვენი აუდიტორის დასკვნის მოსამზადებლად. თითოეულმა დირექტორმა შეასრულა ყველა ის ქმედება, რომელიც მას როგორც დირექტორს უნდა შეესრულებინა, შესაბამისი აუდიტორული ინფორმაციის მოძიებისა და გაცნობის მიზნით და იმაში დასარწმუნებლად, რომ თქვენთვის ცნობილი გახდა ყველა ასეთი ინფორმაცია.

ფინანსური ანგარიშგება:

- ვადასტურებთ, რომ, როგორც დირექტორებმა შევასრულეთ საქართველოს კანონით ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ გათვალისწინებული ჩვენი საერთო პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ და მის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად წარდგენასთან მიმართებაში, რომელიც ანგარიშგების თარიღისათვის კომპანიის ფინანსური მდგომარეობის, ასევე ამ თარიღით დასრულებული პერიოდის საქმიანობის შედეგების უტყუარ და სამართლიან ასახვას, ასევე თქვენთვის ზუსტ წარდგენას უზრუნველყოფს. ვადასტურებთ, რომ ჩვენ დავამტკიცეთ საბოლოო ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის;
- ვადასტურებთ, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნით შემუშავებული სააღრიცხვო პოლიტიკები და გაკეთებული შეფასებების ტექნიკა (მათ შორის, მნიშვნელოვანი დაშვებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით შეფასების დასადგენად გამოიყენება), რომლებიც ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენება, ყველაზე შესაფერისია იმ გარემოებებისათვის, რომლებშიც კომპანია საქმიანობს;
- გარდა ფინანსურ ანგარიშგებებში მითითებული შემთხვევებისა, კომპანიას არ დაუდია რაიმე სახის გარიგება, რომელშიც ჩართულნი იყვნენ დირექტორი/დირექტორის მოადგილე, სხვა ხელმძღვანელი პირები ან სხვა დაკავშირებული მხარეები, რომელიც მოითხოვს გამჟღავნებას საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ ან მის

- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. შესაბამისი ინფორმაცია გამჟღავნდა კომპანიის კონტროლთან დაკავშირებით;
4. ჩვენ მოგაწოდეთ ინფორმაცია ყველა ცნობილი ან შესაძლო/მოსალოდნელი სასამართლო პროცესის ან საჩივრის შესახებ, რომელთა შედეგები გათვალისწინებულ უნდა იქნეს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას და რომელიც გამჟღავნებულია ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად;
 5. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ საკმარისი ფინანსური რესურსები უზრუნველყოფილი იქნება კომპანიის საბრუნავი კაპიტალისა და კაპიტალური ხარჯების დასაფარავად მინიმუმ მომდევნო თორმეტი თვის განმავლობაში. ჩვენთვის არ არის ცნობილი რომელიმე ისეთი ფაქტორის შესახებ, რომელსაც შეუძლია საფრთხე შეუქმნას კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსს ზემოაღნიშნული პერიოდის მანძილზე ან მის შემდეგ;
 6. საანგარიშო თარიღის შემდეგ არ მომხდარა ისეთი მოვლენები, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებაში შეტანილი მონაცემების გადახედვას საჭიროებს, ხოლო მნიშვნელოვანი მოვლენები, რომელიც მოხდა საანგარიშო თარიღის შემდგომ ასახულია შენიშვნა 27. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები განმარტებით შენიშვნებში. თუ არსებითი მოვლენები განვითარდება, რომლებიც საჭიროებს ფინანსურ ანგარიშგებაში შეტანილი მონაცემების გადახედვას ან მასში განმარტებით შენიშვნებში ასახვას, დამატებით მოგაწვდით შესაბამის ინფორმაციას.
 7. ჩვენ ვადასტურებთ, რომ თქვენი შეტყობინების შესაბამისად, აუდიტის დროს არ გამოვლენილა რაიმე შეუსწორებელი უზუსტობები, ხოლო გამოვლენილი უზუსტობები კი მხოლოდ აშკარად ტრივიალურია.
 8. ვადასტურებთ, რომ არ გვაქვს გეგმები და ზრახვები, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ნებისმიერი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე ან კლასიფიკაციაზე.
 9. თუ არსებითი უზუსტობების არსებობის გამო, წინა პერიოდში კორექტირება მოხდა და შესაძარის ინფორმაციის გადაანგარიშება მოხდა, საჭიროა შესაბამისი ინფორმაციის/ განმარტების წარდგენა (ასს 710.9).

მოწოდებული ინფორმაცია:

10. აუდიტის მიზნებისათვის თქვენთვის ხელმისაწვდომი გახდა ყველა საბუღალტრო ჩანაწერი და კომპანიის მიერ განხორციელებული ყველა ოპერაცია სათანადოდაა აღრიცხული საბუღალტრო ჩანაწერებში. ჩვენ მოგაწოდეთ ყველა სხვა ინფორმაცია, მოთხოვნისამებრ და მოგეცით შეუზღუდავი წვდომა იმ სამეურნეო სუბიექტის საქმიანობაში ჩართულ პირებთან, რომელთანაც საჭიროდ მიიჩნიათ გაგემართათ დისკუსია. თქვენთვის ხელმისაწვდომი გავხადეთ ყველა სხვა ჩანაწერი და შესაბამისი ინფორმაცია, მათ შორის, ხელმძღვანელობისა და დამფუძნებელთა ყველა შეხვედრის ოქმები.
11. გარდა ფინანსურ ანგარიშგებებში ასახული ინფორმაციისა, ჩვენთვის არ არის ცნობილი რაიმე სახის არსებითი ვალდებულებების, რეზერვების, პირობითი ვალდებულებების, პირობითი აქტივების ან კაპიტალურ ვალდებულებებზე დადებული კონტრაქტის შესახებ, რომლებიც ასახულ უნდა იქნეს ფინანსურ ანგარიშგებაში ან მის განმარტებით შენიშვნებში.
12. კომპანიას გააჩნია შეზღუდული საკუთრების უფლება ცალკეულ აქტივებზე: კომპანიის საკუთრებაში არსებულ საოფისე ფართები საქართველოს ბანკის სესხის უზრუნველსაყოფად დატვირთულია იპოთეკით..
13. ჩვენ ვადასტურებთ, რომ კომპანიის წარსადგენი ვალუტა არის ქართული ლარი.

14. ვადასტურებთ, რომ მიმოვიხილეთ ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური გრძელვადიანი აქტივების ყველა არსებითი საკითხი და შევაფასეთ მათი სასარგებლო მომსახურების ვადისა და ნარჩენი ღირებულების გონივრულობა. ჩვენ ასევე მიმოვიხილეთ ძირითადი საშუალებების, არამატერიალური გრძელვადიანი აქტივებისა და ინვესტიციების (გარდა სამართლიანი ღირებულებით აღრიცხულისა) ყველა მნიშვნელოვანი ერთეული და გვჯერა, რომ არ იყო საჭირო მიმოვიხილვის ჩატარება გაუფასურებასთან მიმართებაში, რადგან არ არსებობდა გაუფასურების ნიშნები.
15. ვადასტურებთ, რომ გაცნობით ყველა დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობისა და ჩვენთვის ცნობილი, შესაბამისი წლის განმავლობაში კომპანიის მიერ ამ დაკავშირებულ მხარესთან დადებული გარიგებების შესახებ ინფორმაცია.
16. ვაცნობიერებთ ჩვენს პასუხისმგებლობას უზუსტობის ან თაღლითობის თავიდან აცილებისა და გამოვლენის მიზნით შიდა კონტროლის შექმნასა და დანერგვაზე და გაგიმჟღავნებ ჩვენს მიერ შესრულებული იმ რისკის შეფასება, რომ ფინანსური ანგარიშგება შეიძლება არსებით უზუსტობას შეიცავდეს თაღლითობის გამო. ჩვენთვის უცნობია რაიმე დარღვევების, მათ შორის თაღლითობის და საექვო თაღლითობის შესახებ, რომლებშიც ჩართულნი არიან ხელმძღვანელობა, თანამშრომლები ან სხვა პირები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ შიდა კონტროლში ან კომპანიის მიერ იმ პერსონალის შესახებ, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენთვის არ არის ცნობილი მსგავსი შეუსაბამოების ან დარღვევების შესახებ.
17. ჩვენთვის არ არის ცნობილი კანონის, რეგულირების, ხელშეკრულებების, შეთანხმებების ან კომპანიის წესდების დარღვევების ფაქტების ან შესაძლო დარღვევების შესახებ, რაც შესაძლებელია კომპანიისთვის მნიშვნელოვანი ჯარიმების ან სხვა ზარალის მიზეზი გახდეს. ჩვენთვის არ არის ცნობილი მსგავსი შეუსაბამოების ან დარღვევების შესახებ.
18. ჩვენ ვადასტურებთ, რომ თქვენი შეტყობინების თანახმად, არ არსებობს ისეთი საკითხები, რის შესახებაც გსურთ ჩვენთან გამართოთ დისკუსია, თქვენი პროფესიის ეთიკური პრინციპების შესაბამისობის კუთხით, რომლებიც თქვენს დაგეგმვის წერილში მითითებულია, სხვა საკითხებთან ერთად. 01.09.2022 წ.
19. ჩვენ ვადასტურებთ თქვენი დაგეგმვის წერილის მიღებას 01.09.2022 წ.

პატივისცემით,

ზურაბ ჭუმბაძე

ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა შპს „ელკო დისტრიბუშენ“

ხელმძღვანელობას

ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე პირობითი მოსაზრება

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ელკო დისტრიბუშენ“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - “პირობითი მოსაზრების საფუძველი” - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მსს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

შპს ელკო დისტრიბუშენ-მა ჩაატარა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგების ინვენტარიზაცია. ვინაიდან ინვენტარიზაციის შესახებ კომპანიას ჩვენთვის არ უცნობებია, შესაბამისად ჩვენ ვერ დავესწარიტ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგების ნაშთების ინვენტარიზაციას. ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით მიგვეღო აუცილებელი და შესაფერისი მტკიცებულება მარაგების ფაქტიურ რაოდენობაზე, რაც ფინანსურ ანგარიშგებაში 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შესაბამისად 4 762 193 და 3 235 979 ლარით. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები მარაგებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობა ვართ შპს „ელკო დისტრიბუშენ“-ისგან იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ მოთხოვნებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოება

2021 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში ჩვენ განვახორციელეთ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა “მე-3, შესადარისი ინფორმაციაში” აღწერილი კორექტირებების აუდიტი, რომელთა მიხედვითაც გადაანგარიშებები მოხდა 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში. აღნიშნული კორექტირებები განხორციელდა 2020 წლის ბალანსის შედგენის შემდგომ პერიოდში. ჩვენი აზრით, ამგვარი კორექტირებები მართებულია და სათანადოდ არის გამოყენებული.

მმართველობის ანგარიშგება

მმართველობის ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს კომპანიის საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება კომპანია. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. ჩვენ მიერ ჩატარებულ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს „ელკო დისტრიბუშენ“-ის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან შპს „ელკო დისტრიბუშენ“-ისგან ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს „ელკო დისტრიბუშენ“-ის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს „ელკო დისტრიბუშენ“-ს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება.

- ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს „ელკო დისტრიბუშენ“ უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დადგენილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული სათანადო ეთიკური მოთხოვნები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე საფრთხეების აღმოსაფხვრელად გატარებული ზომების ან გამოყენებული შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებებთან; და
- მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ვასილ ხანიშვილი.

აუდიტის გარიგების პარტნიორი

ვასილ ხანიშვილი

შპს აუდიტორული ფირმა „მრჩეველი“

30 სექტემბერი 2022 წ.

საქართველო, ქ. თბილისი, ბახტრიონის ქ. №11



შპს „ელკო დისტრიბუშენ“

2021 წ. 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის (ლარი)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	მენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
შემოსავალი	5	93 531 405	46 519 463
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება (2020 წ. ადრე წარდგენილი 44 062 089 ლარი)	6	(89 383 376)	(44 083 693)
მოგება		4 148 029	2 435 770
ადმინისტრაციული ხარჯები (2020 წ. ადრე წარდგენილი 1 848 666 ლარი)	7	(2 113 742)	(1 848 688)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		2 034 287	587 082
მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან (2020 წ. ადრე წარდგენილი 1 722 465 ლარი)	8	840 433	(1 722 650)
არასაოპერაციო შემოსავალი (2020 წ. ადრე წარდგენილი 517 999 ლარი)	9	433 065	518 000
არასაოპერაციო ხარჯი	9	(716 089)	(67 798)
ფინანსური შემოსავალი	10	16 385	9 432
ფინანსური ხარჯი	10	(67 562)	(71 495)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე (2020 წ. ადრე წარდგენილი 725 619 ლარი)		2 540 519	(747 429)
მოგების გადასახადი		-	-
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება/(ზარალი) (2020 წ. ადრე წარდგენილი 725 619 ლარი)		2 540 519	(747 429)
სულ გაერთიანებული შემოსავალი/(ხარჯი) (2020 წ. ადრე წარდგენილი 725 619 ლარი)		2 540 519	(747 429)

დირექტორი

ზურაბ ჭუმბაძე

30 სექტემბერი 2022 წ.

თბილისი, საქართველო

მთ. ბუღალტერი

ნინო მელაძე

30 სექტემბერი 2022 წ.

თბილისი, საქართველო

შპს „ელკო დისტრიბუშენ“

2021 წ. 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის (ლარი)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
შემოსავალი	5	93 531 405	46 519 463
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება (2020 წ. ადრე წარდგენილი 44 062 089 ლარი)	6	(89 383 376)	(44 083 693)
მოგება		4 148 029	2 435 770
ადმინისტრაციული ხარჯები (2020 წ. ადრე წარდგენილი 1 848 666 ლარი)	7	(2 113 742)	(1 848 688)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		2 034 287	587 082
მოგება/ზარალი საკუროს სხვაობიდან (2020 წ. ადრე წარდგენილი 1 722 465 ლარი)	8	840 433	(1 722 650)
არასაოპერაციო შემოსავალი (2020 წ. ადრე წარდგენილი 517 999 ლარი)	9	433 065	518 000
არასაოპერაციო ხარჯი	9	(716 089)	(67 798)
ფინანსური შემოსავალი	10	16 385	9 432
ფინანსური ხარჯი	10	(67 562)	(71 495)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე (2020 წ. ადრე წარდგენილი 725 619 ლარი)		2 540 519	(747 429)
მოგების გადასახადი		-	-
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება/(ზარალი) (2020 წ. ადრე წარდგენილი 725 619 ლარი)		2 540 519	(747 429)
სულ გაერთიანებული შემოსავალი/(ხარჯი) (2020 წ. ადრე წარდგენილი 725 619 ლარი)		2 540 519	(747 429)


ნ. ჭუმბაძე

დირექტორი

ზურაბ ჭუმბაძე

30 სექტემბერი 2022 წ.

თბილისი, საქართველო



ნ. ჭუმბაძე

მთ. ბუღალტერი

ნინო მელაძე

30 სექტემბერი 2022 წ.

თბილისი, საქართველო

შპს „ელკო დისტრიბუშენ“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წ. 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის (ლარი)

<i>აქტივები</i>	<i>შენიშვნები</i>	<i>31.12.2021</i>	<i>31.12.2020</i>
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	1 451 318	1 458 298
არამატერიალური აქტივები		2 839	4 177
სულ გრძელვადიანი აქტივები		1 454 157	1 462 475
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები (2020 წ. ადრე წარდგენილი 3 257 082 ლარი)	12	4 762 193	3 235 979
სავაჭრო მოთხოვნები (2020 წ. ადრე წარდგენილი 7 803 153 ლარი)	13	10 153 845	7 802 796
სხვა აქტივები (2020 წ. ადრე წარდგენილი 11 419 ლარი)	14	8 541	11 382
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	15	1 419 878	17 483
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	16	2 273 382	566 511
სულ მიმდინარე აქტივები (2020 წ. ადრე წარდგენილი 11 655 648 ლარი)		18 617 839	11 634 151
სულ აქტივები (2020 წ. ადრე წარდგენილი 13 118 123 ლარი)		20 071 996	13 096 626
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	17	249 872	249 872
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი) (2020 წ. ადრე წარდგენილი (7 848 250) ლარი)	17	(5 329 542)	(7 870 061)
გადაფასების რეზერვი	17	954 123	954 123
სულ კაპიტალი (2020 წ. ადრე წარდგენილი 6 644 255 ლარი)		(4 125 547)	(6 666 066)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	18	1 957 087	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1 957 087	
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები (2020 წ. ადრე წარდგენილი 19 048 778 ლარი)	19	18 488 496	19 050 260
სხვა ვალდებულებები	20	132 568	35 181
მიღებული ავანსები (2020 წ. ადრე წარდგენილი 116 785 ლარი)	21	447 775	116 614
საგადასახადო ვალდებულება	22	218 422	560 637
მოკლევადიანი სესხები	23	2 953 195	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები (2020 წ. ადრე წარდგენილი 19 762 378 ლარი)		22 240 456	19 762 692

სულ ვალდებულებები (2020 წ. ადრე წარდგენილი 19 762 378 ლარი)

სულ კაპიტალი და ვალდებულებები (2020 წ. ადრე წარდგენილი 13 118 123 ლარი)

24 197 543

19 762 692

20 071 996

13 096 626

დირექტორი

ზურაბ ჭუმბაძე

30 სექტემბერი 2022 წ.

თბილისი, საქართველო

მთ. ბუღალტერი

ნინო მელაძე

30 სექტემბერი 2022 წ.

თბილისი, საქართველო

შპს „ელკო დისტრიბუშენ“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წ. 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის (ლარი)

აქტივები	შენიშვნები	31.12.2021	31.12.2020
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	1 451 318	1 458 298
არამატერიალური აქტივები		2 839	4 177
სულ გრძელვადიანი აქტივები		1 454 157	1 462 475
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები (2020 წ. ადრე წარდგენილი 3 257 082 ლარი)	12	4 762 193	3 235 979
სავაჭრო მოთხოვნები (2020 წ. ადრე წარდგენილი 7 803 153 ლარი)	13	10 153 845	7 802 796
სხვა აქტივები (2020 წ. ადრე წარდგენილი 11 419 ლარი)	14	8 541	11 382
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	15	1 419 878	17 483
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	16	2 273 382	566 511
სულ მიმდინარე აქტივები (2020 წ. ადრე წარდგენილი 11 655 648 ლარი)		18 617 839	11 634 151
სულ აქტივები (2020 წ. ადრე წარდგენილი 13 118 123 ლარი)		20 071 996	13 096 626
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	17	249 872	249 872
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი) (2020 წ. ადრე წარდგენილი (7 848 250) ლარი)	17	(5 329 542)	(7 870 061)
გადაფასების რეზერვი	17	954 123	954 123
სულ კაპიტალი (2020 წ. ადრე წარდგენილი 6 644 255 ლარი)		(4 125 547)	(6 666 066)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	18	1 957 087	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1 957 087	
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები (2020 წ. ადრე წარდგენილი 19 048 778 ლარი)	19	18 488 496	19 050 260
სხვა ვალდებულებები	20	132 568	35 181
მიღებული ავანსები (2020 წ. ადრე წარდგენილი 116 785 ლარი)	21	447 775	116 614
საგადასახადო ვალდებულება	22	218 422	560 637
მოკლევადიანი სესხები	23	2 953 195	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები (2020 წ. ადრე წარდგენილი 19 762 378 ლარი)		22 240 456	19 762 692

სულ ვალდებულებები (2020 წ. ადრე წარდგენილი 19 762 378 ლარი)

სულ კაპიტალი და ვალდებულებები (2020 წ. ადრე წარდგენილი 13 118 123 ლარი)

24 197 543

19 762 692

20 071 996

13 096 626

ნ. ჭუმბაძე

დირექტორი

ზურაბ ჭუმბაძე

30 სექტემბერი 2022 წ.

თბილისი, საქართველო



ნ. ჭუმბაძე

მთ. ბუღალტერი

ნინო მელაძე

30 სექტემბერი 2022 წ.

თბილისი, საქართველო

შპს „ელკო დისტრიბუშენ“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2021 წ. 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლებისათვის

(ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	გადაფასების რეზერვი	სულ
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრისათვის	249 872	(7 122 632)	954 123	(5 918 637)
წლის მთლიანი სრული მოგება (2020 წ. ადრე წარდგენილი 725 618 ლარი)		(747 429)	-	(747 429)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის (2020 წ. ადრე წარდგენილი 7 848 250 ლარი)	249 872	(7 870 061)	954 123	(6 666 066)
წლის მთლიანი სრული მოგება		2 540 519	-	2 540 519
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	249 872	(5 329 542)	954 123	(4 125 547)

შპს „ელკო დისტრიბუშენ“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2021 წ. 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლებისათვის

(ლარი)

	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე (2020 წ. ადრე წარდგენილი (725 619) ლარი)	2 540 519	(747 429)
არაფულადი კორექტირება დასაბეგრი მოგების წმინდა ფულად ნაკადებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით		
ცვეთა და ამორტიზაცია	59 695	63 761
ზარალი/(მოგება) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან (2020 წ. ადრე წარდგენილი 1 722 465 ლარი)	(840 433)	1 722 650
ძირითადი საშუალებების გაყიდვით მიღებული შემოსულობა	-	(10 419)
მარაგის გადაფასებით მიღებული მოგება/(ზარალი)	665 483	-
მიღებული პროცენტი	(16 385)	(9 432)
გადახდილი პროცენტი	67 562	71 495
საბრუნავი კაპიტალის ცვლილებები		
შემცირება/ზრდა სასაქონლო მატერიალური ფასეულობაში (2020 წ. ადრე წარდგენილი (519 700) ლარი)	(2 191 697)	(498 597)
შემცირება/ზრდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში (2020 წ. ადრე წარდგენილი 6 078 021 ლარი)	(2 348 208)	(6 077 627)
შემცირება/ზრდა გადახდილ ავანსებში	(1 402 395)	188 616
შემცირება/ზრდა საგადასახადო აქტივებში	-	188 763
შემცირება/ზრდა სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში (2020 წ. ადრე წარდგენილი (6 458 298) ლარი)	(464 378)	6 458 779
შემცირება/ზრდა მიღებულ ავანსებში (2020 წ. ადრე წარდგენილი (266 823) ლარი)	331 161	(266 994)
შემცირება/ზრდა გადასახდელ გადასახადებში (2020 წ. ადრე წარდგენილი (560 634) ლარი)	(342 215)	560 637
ფულადი სახსრები ოპერაციებიდან (2020 წ. ადრე წარდგენილი (1 790 493) ლარი)	(3 941 291)	1 644 203
მოგების გადასახადი	-	-
წმინდა ფულის შემოსვლა/(გასვლა) საოპერაციო საქმიანობიდან (2020 წ. ადრე წარდგენილი (1 790 493) ლარი)	(3 941 291)	1 644 203
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები	-	10419
ძირითადი საშუალებების შეძენა	(51 376)	(30 576)
შემცირება/ზრდა არამატერიალურ აქტივებში	-	(4 604)
მიღებული პროცენტი	16 385	9 432
წმინდა ფული (გამოყენებული)/მოპოვებული საინვესტიციო საქმიანობიდან	(34 991)	(15 329)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		

გადასახდელი სესხი	4 910 282	(50)
გადახდილი პროცენტი	(67 562)	(71 495)
წმინდა ფულის (გასვლა)/შემოსვლა ფინანსური საქმიანობიდან	4 842 720	(71 545)
გაცვლითი კურსის ეფექტი ფულზე და ფულის ექვივალენტებზე (2020 წ. ადრე წარდგენილი 1 722 465 ლარი)	840 433	(1 722 650)
წმინდა ფულის ზრდა	1 706 871	(165 321)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	566 511	731 832
ფულადი საშუალებები და მისი ექვივალენტები წლის ბოლოს	2 273 382	566 511

შპს „ელკო დისტრიბუშენ“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წ. 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარი)

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ელკო დისტრიბუშენ“ (შემდგომში კომპანია) შექმნილია “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და წარმოადგენს თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 10.06.2009 წელს რეგისტრირებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი 205280667; იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, საბურთალოს ქ. №40, კორპ. 1, ბინა 42; ფაქტობრივი და იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, საბურთალოს რ-ნი, ზურაბ და თეიმურაზ ზალდასტანიშვილების ქ. №3, წესდების მიხედვით საზოგადოების საქმიანობის ძირითად პროფილს წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა იმპორტირებული საქონლით: კომპიუტერებით, კომპიუტერული პერიფერიული მოწყობილობებით (პრინტერი, აქსესუარები) მობილური ტელეფონებით და პროგრამული უზრუნველყოფით.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის მომენტისათვის კომპანიის დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ელკორ სოლუშენს, CVR-NR 33075375. (დანიის სამეფო). რომლის მეწილეები არიან კანონიერი მფლობელები:

ანდრეი სტაროვოიტი - ბელორუსია, საკუთრება: 5-9.99%

სერგეი დუბოვიკი - ბელორუსია, საკუთრება: 5-9.99%

ალექსანდრე ალჰიმოვიჩი - ბელორუსია, საკუთრება: 5-9.99%

ანდრეი მალიუკევიჩი - ბელორუსია, საკუთრება: 5-9.99%

ირინა ბინეცაია - ბელორუსია, საკუთრება: 25-33,32%

ვალერი შირეი - ბელორუსია, საკუთრება: 20-24,99%

ევგენი მოროზოვი - ბელორუსია, საკუთრება: 25-33,32%

ნამდვილი მფლობელები:

ირინა ბინეცაია - ბელორუსია, საკუთრება: 26.84%

ევგენი მოროზოვი - ბელორუსია, საკუთრება: 31.06%

შენიშვნა 2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს მსს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, თუ სხვა რამე არ არის მითითებული. მონაცემები დამრგვალებულია ერთ ლარამდე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში.

სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რასაც მიიღებდა აქტივის მფლობელი აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების მფლობელი ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციისას საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების თარიღის დროს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადი ან შეფასებული სხვა შეფასების მეთოდით. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, კომპანია მხედველობაში იღებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეებიც მიიღებდნენ ამ მახასიათებლებს მხედველობაში აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას შეფასების თარიღისთვის. ამ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების და/ან გამჟღავნების მიზნებისთვის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება სწორედ ამ საფუძველზე.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, სამართლიანი ღირებულება შეიძლება გაიზომოს და კლასიფიცირდება 1, 2, 3 დონეების მიხედვით და ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სამართლიანი ღირებულების დასადგენად მნიშვნელოვანი და ბაზარზე ხელმისაწვდომია ის მონაცემები, რომლების მეშვეობითაც დგინდება სამართლიანი ღირებულება. ეს დონეები ახსნილია ქვემოთ:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და

- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ("ფასს") მცირე და საშუალო საწარმოების მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. საქართველოში COVID-19-ით გამოწვეულმა გარემოებამ, ვირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით სახელმწიფოს მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა როგორცაა: ქვეყნის ჩაკეტვა, კარანტინი და მობილობის შეზღუდვა, მოქალაქეებს მოუწიათ უმეტესი დროის გატარება სახლის პირობებში და თავიანთი საქმიანობის გადაწყობა „ონლაინ“ მუშაობის სტილზე და შესაბამისად გაიზარდა მოთხოვნა მობილურ ტელეფონებზე და კომპიუტერულ ტექნიკაზე. ამ ყველაფერმა დადებითი ზეგავლენა მოახდინა კომპანიის საქმიანობაზე.

ასევე გაიზარდა მოთხოვნა სახელმწიფოსა და სხვა კომერციული სტრუქტურებიდან კიბერ უსაფრთხოებისა და სხვა დიგიტალურ პროდუქტებზე, რომელთა განვითარებასა და გაყიდვას ახორციელებს კომპანია (Trend Micro, Cloud Service, Amazon AWS, GBT, SUSE და ა.შ.)

დადებითი გავლენა იქონია კომპანიის საქმიანობაზე 2020 წელს განხორციელებულმა სტრუქტურულმა რეორგანიზაციამ, რომლის მიზანიც იყო არამომგებიანი მიმართულებების და საშტატო ერთეულების გაუქმება და მაქსიმალური ფოკუსირება ბრენდებზე რომლებსაც მოაქვთ სტაბილური შემოსავალი. 2020 წელს გაფორმდა ახალი ხელშეკრულებები, ძირითადად მობილური ტელეფონების სხვადასხვა მწარმოებლებთან (XIAOMI, HONOR, TECNO) და ასევე საყოფაცხოვრებო ტექნიკის მწარმოებლებთან (XIAOMI ECO, DERMA) რომელთაც ბაზრის დიდი მოთხოვნიდან გამომდინარე მოიტანეს დადებითი შედეგები. 2021 წელს კომპანიას პორტუგელში დაემატა ორი ბრენდი (Tecno, Derma) მათმა წარმატებულმა გაყიდვებმა და გაყიდვებიდან შემოსულმა მოგებამ განაპირობა კომპანიის მოგების ზრდა წლის განმავლობაში .

კომპანიის ერთ-ერთი უმსხვილესი მომწოდებელი (კრედიტორი) არის იმავე ჰოლდინგის წევრი კომპანია, რომელიც ხშირ შემთხვევაში არ ითხოვს დავალიანების დროულად დაფარვას და კომპანიას აძლევს ხანგრძლივ სასაქონლო განვადებას. Elcore Distribution AG ოფიციალური 18.05.2021 წლის წერილიდან გამომდინარე (ძირითადი მომწოდებელი) იგი აძლევს საშეღავათო პერიოდს შპს ელკო დისტრიბუშენ-ს 5 წლის ვადით, 3 000 000 (სამი მილიონი აშშ დოლარი) აშშ დოლარის ოდენობით, რაც ნიშნავს იმას, რომ 5 წლის განმავლობაში შპს ელკო დისტრიბუშენი-ს დავალიანების მინიმალური ზღვარი Elcore AG-ს მიმართ იქნება 3 000 000 აშშ დოლარი.

მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ კომპანიის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და ფინანსური ანგარიშგების წარდგენა უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია.

შენიშვნა 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

საანგარიშგებო ვალუტა

კომპანიის ფუნქციურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი.

უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით. ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშობა.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრისათვის არსებულ ოფიციალურ გაცვლით კურსებს:

	დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	3,0976	3,5040
გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	3,2766	4,0233

ძირითადი საშუალებები

საკუთრებაში არსებული აქტივები

კომპანია უძრავი ქონების გადაფასებას ახდენს ყოველ სამ წელიწადში ერთხელ დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ საბაზრო ფასით. აფასება-ჩამოფასების თანხით კორექტირდება შესაბამისად გადაფასების რეზერვი. ცვეთის დარიცხვას ახდენს წრფივი მეთოდით, საექსპლოატაციო ვადის შესაბამისად. 2019 წლის 30 დეკემბერს მოხდა უძრავი ქონების (საოფისე ფართი) შეფასება, რომლის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა გაყიდვების ანუ შედარებითი ანალიზის მეთოდით.

დანარჩენი ძირითადი საშუალებების ერთეულები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა.

როდესაც ძირითადი საშუალების ერთეულები მოიცავენ ძირითად კომპონენტებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადით, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულად.

კომპანიაში ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხორციელდება ისტორიული ღირებულებით (თვითღირებულებით), რომელიც მოიცავს აქტივების შეძენასთან და ექსპლუატაციაში გადაცემასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს. ექსპლუატაციაში გადაცემის შემდგომი ხარჯებიდან მისი ის ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღებას და ამასთან შესაძლებელია მისი ღირებულების რეალურად შეფასება, აღირიცხება ცალკე აქტივად ან ემატება უკვე მოქმედი აქტივის ღირებულებას.

ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი ცვეთის მეთოდით. ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების შეძენის მომენტიდან, ან აშენებული აქტივების შემთხვევაში, იმ დროიდან, როდესაც აქტივი დასრულებულია და მზად არის გამოსაყენებლად. ცვეთის ნორმები გაანგარიშებულია ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადებიდან გამომდინარე.

სასარგებლო გამოყენების სავარაუდო საშუალო ვადაა:

	სასარგებლო გამოყენების ვადა წლებში
შენობა-ნაგებობები	50
კომპიუტერული ტექნიკა და ოფისის აღჭურვილობა	5
სატრანსპორტო საშუალებები	5
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ზარალი ან მოგება (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და

დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად.

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვეო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება. საქართველოში მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება, როგორც სხვა გადასახადები სრული შემოსავლის ანგარიშგების სხვა საოპერაციო ხარჯებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღიარება და ასახვა ხორციელდება ნეტო თანხით.

თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

წმინდა საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას

სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშების დანერგვით.

ამიტომ „კომპანია“ ყველა საგადასახადო დავალიანებასა და მოთხოვნასთან დაკავშირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე და ამ მდგომარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისაგან (ტრანსპორტირება და დასაწყობება). მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

მარაგების (გამოყენებულის და ნაშთად არსებულის) ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, სესხები და მოთხოვნები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, ან გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის, ფინანსური აქტივები თავდაპირველი შეფასების შესაბამისად დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ფულადი სახსრები
- სესხები და მოთხოვნები;
- სავაჭროდ გამიზნული ფინანსური აქტივები;
- დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები;

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, როდესაც ფინანსური აქტივი გამიზნულია სავაჭროდ ან არის განსაზღვრული, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი. ისინი აღიარებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული ხელახალი შეფასების დროს წარმოქმნილი ნებისმიერი შემოსავალით ან ზარალით, რომლებიც აღიარდება მოგება-ზარალში.

კომპანიას არ გააჩნია ვაჭრობისათვის გამიზნული აქტივები და არც ნებაყოფლობით აქვს კლასიფიცირებული ფინანსური აქტივები, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები წარმოადგენს არამწამოვლურ ფინანსურ აქტივს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციების დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა და გაცემასთან. შემდეგ კი აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მაშინ, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მიღების უფლებას ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტს არ აქვს უფლება გაყიდოს აქტივი მესამე არადაკავშირებულ მხარეზე გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ბ) ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც მომწოდებლების მიმართ არსებული ვალდებულებები, მათ შორის მიღებული სესხები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით შემცირებული ტრანზაქციის ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულებების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში გადასახდელ ფულად სახსრებს ფინანსური ვალდებულების მომსახურების ვადის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა, სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული

პირობებით, ან არსებული ვალდებულებების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება. ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გ) გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და კომპანიას აქვს განზრახვა ზემოთხსენებული თანხები წარადგინოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფულადი სახსრები და ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები. იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდული ფულადი ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება 3-დან 12 თვემდე ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, ბალანსზე აღიარდება როგორც შეზღუდული ფულადი სახსრების ექვივალენტები.

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები წამოიქმნება მომხმარებლისათვის პროდუქციის მიწოდებისა ან მომსახურების გაწევისას. კომპანია სავაჭრო მოთხოვნებს აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში მოთხოვნა წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო მოთხოვნა საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური მოთხოვნები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით, საექვო და უიმედო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხების გამოკლებით.

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის აფასებს, არსებობს თუ არა სავაჭრო მოთხოვნის გაუფასურების ობიექტური ნიშნები. ამ შემთხვევაში მცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და დანაკარგის თანხა აისახება მიმდინარე პერიოდის ხარჯებში. (შენიშვნა 13.)

მიღებული სესხები

მიღებული სესხები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით. ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

კომპანია მიღებულ სესხებს აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით. ავანსი გრძელვადიანად ითვლება, თუ მასთან დაკავშირებული საქონლისა თუ მომსახურების მიღება ივარაუდება ერთი წლის შემდგომ, ან თუ ავანსი დაკავშირებულია ისეთ აქტივთან, რომელიც თავად ითვლება თავდაპირველი აღიარებისას გრძელვადიანად.

აქტივების ყიდვაზე გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის დამყარების შემდეგ და თუ მოსალოდნელია, რომ მასთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს კომპანია მიიღებს.

გადახდილი ავანსები ჩამოიწერება მაშინ, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული ავანსის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალზე.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის მოცულობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში, რადგან ეს არის ის თანხა, რომელიც შემოტანილი იყო კომპანიის მფლობელის მიერ.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოაცხადეს და დაამტკიცეს. საანგარიშო პერიოდის შემდეგ გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდები, რაც ფინანსური ანგარიშგებების დამტკიცებამდე მოხდა, უნდა გამჟღავნდეს შემდგომ მოვლენებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებას მომწოდებლის წინაშე. კომპანია ვალდებულებას აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი.

სავაჭრო ვალდებულება საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები

ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები არის არაფინანსური ვალდებულებები გაურკვეველი დროისა და ოდენობის. ისინი დაირიცხება როდესაც კომპანიას აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულიდან გამოწვეული, და სავარაუდოა რომ ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსებია საჭირო იმისათვის, რომ დაიფაროს ვალდებულება და საიმედო შეფასების გაკეთებაც შესაძლებელია. თუ ეფექტი არსებითია, რეზერვის ოდენობა განისაზღვრება დისკონტირების გზით, სადაც გამოყენებულია დაბეგვრამდე საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ასახავს ბაზრის შეფასებას ფულის დროით ღირებულებაზე და ასევე იმ რისკებს, რაც დაკავშირებულია მასთან.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალში არ ჩაირთვება ფასდათმობები.

საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;

კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;

შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;

მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალ პერიოდში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;

მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში;

შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ დადგენა, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;

შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა და ვალდებულებების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისაგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმს.

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები შედგება აღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯისგან, გაცემულ სესხებზე მიღებული საპროცენტო შემოსავლისგან, საბანკო დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლებისგან და სავალუტო მოგებისგან და ზარალისგან, რომელიც ეხება აღებულ სესხებს ან ფულსა და ფულის ეკვივალენტებს.

თანამშრომლების სარგებელი

ხელფასები, გადახდილი წლიური შვებულება, ბონუსები და არაფულადი სარგებელი დარიცხული წლის განმავლობაში, რომელშიც ასოცირებული მომსახურება გაწეულია კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომ გასცეს პენსიები ან მსგავსი სარგებელი.

გაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები დაბალანსდება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე, და არსებობს ან ნეტო საფუძველზე დარეგულირების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთდროულად განხორციელების განზრახვა.

შესადარისი ინფორმაცია

შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშება მოხდა წინა პერიოდის უზუსტობის კორექტირებისთვის, რათა მომხდარიყო წინა პერიოდში აღრიცხული ხარჯების და ბალანსის მუხლების ასახვა ფინანსური მდგომარეობის და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

შესადარისი ინფორმაცია ასევე რეკლასიფიცირებულია ფინანსურ ანგარიშგებაში მიმდინარე წელთან შესაბამისობისათვის.

მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის ფინანსური მდგომარეობის და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შეტანილი კორექტირებების შეჯამება გადაანგარიშებისა და ხელახლა წარმოდგენის შედეგად:

	წინა ანგარიშის მიხედვით	კორექტირება	გადაანგარი შებული
სავაჭრო მოთხოვნები	25 461	(357)	25 105
მარაგები	3 246 490	(21 104)	3 225 386
სავაჭრო ვალდებულებები	18	482	500
მიღებული ავანსები	172	(172)	-
საგადასახადო ვალდებულებები	560 634	3	560 637
საპენსიო ფონდი	961	(38)	924
თვითღირებულება	44 274 966	21 604	44 296 570
ადმინისტრაციული ხარჯები	135 106	22	135 128
საკურსო სხვაობა	1 722 466	185	1 722 651
საერთო ზეგავლენა მთლიან კაპიტალზე		21 811	

შენიშვნა 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და ვარაუდებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარდგენილ მონაცემებსა და მომავალი საანგარიშგებო პერიოდის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. შეფასებებისა და ვარაუდების გადახედვა ხდება მუდმივად და თავის მხრივ თითოეული მათგანი დაფუძნებულია ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე, მათ შორის მომავალი მოვლენების მოხდენის მოლოდინზე, რომელთა წარმოქმნის

ალბათობა მოცემულ ვითარებაში მიიჩნევა ლოგიკურად. შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე იყენებს განსჯებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებზე, და შეფასებები, რომელთაც შეუძლია მნიშვნელოვნად შეცვალოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, მოიცავს:

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადა

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადის განსაზღვრა სუბიექტურია და დამოკიდებულია ასეთ აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებაზე. აქტივისთვის დამახასიათებელი მომავალი ეკონომიკური სარგებლიანობა ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. აქტივის ღირებულების შემცირება ხმარებისას სხვა ფაქტორებმაც შეიძლება გამოიწვიოს. ხელმძღვანელობა აფასებს სარგებლიანობის დარჩენილ ვადას ახლანდელი ტექნიკური მდგომარეობის და აქტივებიდან სარგებლის მიღების სავარაუდო პერიოდის მიხედვით. შეფასებისას ხდება შემდეგი ძირითადი ფაქტორების გათვალისწინება (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რომელიც საოპერაციო ფაქტორებსა და რემონტის პროგრამაზეა დამოკიდებული; და (გ) ტექნიკური და კომერციული მოძველება, რომელიც საბაზრო პირობების ცვლილებით არის განპირობებული.

დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი

გაუფასურების ნიშნების გამოსავლენად კომპანია რეგულარულად ამოწმებს დებიტორულ დავალიანებას. კომპანია თავისი შეხედულებით აფასებს გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ოდენობას იმ შემთხვევაში, როდესაც მსესხებელს ფინანსური სირთულეები ექმნება და ანალოგიური მსესხებლების შესახებ ისტორიული მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის. კომპანია ასეთივე წესით აფასებს ცვლილებებს სამომავლო ფულად ნაკადებში არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიანიშნებს კომპანიაში მსესხებლების კრედიტუნარიანობის გაუარესებაზე ან ქვეყნისა და ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის აქტივების ამოღებაზე. ხელმძღვანელობა შეფასებებს ახდენს ისტორიული ზარალის გამოცდილებაზე დაყრდნობით სხვა ისეთ აქტივებზე, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი ახასიათებთ და რომელთა გაუფასურების ნიშნებიც დებიტორული დავალიანების ჯგუფის ანალოგიურია.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. ბასს 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება დაუკავშირებელ მხარეებთან.

შენიშვნა 5. შემოსავალი

	2 021	2 020
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	93 531 405	46 519 463
სულ საოპერაციო შემოსავალი	93 531 405	46 519 463

**შენიშვნა 6. რეალიზებული საქონლის
თვითღირებულება**

	2 021	2 020
გაყიდული/შეძენილი საქონელი (2020 წ. აღრე წარდგენილი იყო 44 062089 ლარი)	(89 383 376)	(44 083 693)
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება (2020 წ. აღრე წარდგენილი იყო 44 062089 ლარი)	(89 383 376)	(44 083 693)

შენიშვნა 7. ადმინისტრაციული ხარჯები

	2 021	2 020
ხელფასის ხარჯი	(1 480 934)	(1 365 977)
საპენსიო ანარიცხების ხარჯი	(29 449)	(24 554)
ბანკის საკომისიო	(70 927)	(15 539)
დაზღვევა	(6 268)	(5 774)
დაცვის ხარჯი	(1 729)	(2 854)
იჯარა	(55 434)	(58 238)
კომუნიკაციის და კომუნალური ხარჯი	(41 584)	(48 730)
მივლინება	(25 119)	(10 603)
საგადასახადო ხარჯი	(76 192)	(22 284)
საექვო და უიმედო მოთხოვნების რეზერვის ხარჯი	72 822	(79 984)
საკანცელარიო ხარჯი	(1 816)	(535)
საოფისე ხარჯი	(1 250)	(916)
საწვავის ხარჯი	(9 148)	(4 694)
შეკეთების ხარჯი	-	(11 266)
ცვეთა	(59 695)	(63 761)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(47 366)	(2 498)
მარკეტინგული ხარჯი	(52 940)	(17 475)
კორპორატიული ღონისძიება	-	(17 354)
გაყიდვების და მიწოდების ხარჯები	(43 672)	(12 502)
რეკლამის ხარჯი	(7 216)	(4 758)
იურიდიული მომსახურების ხარჯი	-	-
სხვა საერთო ხარჯი (2020 წ. აღრე წარდგენილი იყო (78 370) ლარი)	(175 825)	(78 392)

სულ (2020 წ. აღრე წარდგენილი (1 848666) ლარი)

(2 113 742)

(1 848 688)

შენიშვნა 8. მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან

2 021

2 020

შემოსავალი საკურსო სხვაობიდან (2020 წ. აღრე წარდგენილი 3062846 ლარი)

4 143 193

3 062 405

ზარალი საკურსო სხვაობიდან (2020 წ. აღრე წარდგენილი (4785312) ლარი)

(3 302 760)

(4 785 055)

სულ (2020 წ. აღრე წარდგენილი (1722465) ლარი)

840 433

(1 722 650)

შენიშვნა 9. არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი

2 021

2 020

არასაოპერაციო შემოსავალი

სხვა არასაოპერაციო შემოსავლები (Credit Note)

431 165

507 582

საშემოსავლოს შეღავათი

1 900

-

შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან

-

10 418

სულ

433 065

518 000

არასაოპერაციო ხარჯები

მარაგების ჩამოფასების ხარჯები

(665 483)

-

ვალის პატიების ხარჯი

(50 606)

(67 798)

სულ

(716 089)

(67 798)

შენიშვნა 10. ფინანსური შემოსავალი/ (ხარჯი)

2 021

2 020

საპროცენტო შემოსავალი

16 385

9 432

საპროცენტო ხარჯი

(67 562)

(71 495)

სულ წმინდა ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)

(51 177)

(62 063)

შენიშვნა 11. ძირითადი საშუალებები

	შენიშვნა- ნაგებობები 2130/2140	ოფისის აღჭურვილობა 2160	ავტო და სხვა ინვენტარი 2170/2195	სატრანსპორტო საშუალებები 2180	სულ აქტივები
ისტორიული ღირებულება					-
01.01.2020	1 410 000	187 486	69 213	55 188	1 721 886
შემოსვლა	-	4 677	9 161	16 737	30 576
გადაფასება					
გასვლა/ჩამოწერა				(15 014)	(15 014)
31.12.2020	1 410 000	192 163	78 373	56 911	1 737 448

შემოსვლა	-	19 472	4 392	27 513	51 377
გადაფასება	-		-	-	-
გასვლა/ჩამოწერა		(13 705)	(3 131)	-	(16 836)
31.12.2021	1 410 000	197 930	79 634	84 424	1 771 989
დაგროვილი ცვეთა					
01.01.2020	-	(126 053)	(57 777)	(48 516)	(232 345)
პერიოდის ცვეთა	(28 200)	(18 453)	(8 095)	(7 070)	(61 819)
გასვლა/ჩამოწერა				15 014	15 014
31.12.2020	(28 200)	(144 506)	(65 872)	(40 571)	(279 150)
პერიოდის ცვეთა	(28 200)	(18 174)	(5 650)	(6 333)	(58 357)
გასვლა/ჩამოწერა	-	13 705	3 131	-	16 836
31.12.2021	(56 400)	(148 975)	(68 391)	(46 904)	(320 671)
საბალანსო ღირებულება					
ბალანსი 01.01.2020	1 410 000	61 433	11 436	6 672	1 489 541
ბალანსი 31.12.2020	1 381 800	47 657	12 501	16 340	1 458 298
ბალანსი 31.12.2021	1 353 600	48 955	11 243	37 520	1 451 318

შენიშვნა 12. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	<i>31.12.2021</i>	<i>31.12.2020</i>
საქონელი (2020 წ. ადრე წარდგენილი 3246490 ლარი)	4 730 110	3 225 387
ნედლეული და მასალები	32 083	10 592
სულ მარაგები (2020 წ. ადრე წარდგენილი 3 257 082 ლარი)	4 762 193	3 235 979

შენიშვნა 13. სავაჭრო მოთხოვნები

	<i>31.12.2021</i>	<i>31.12.2020</i>
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან (2020 წ. ადრე წარდგენილი 8 263 098 ლარი)	8 210 366	8 262 741
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან ვალუტაში	2 585 249	254 647
საექვო მოთხოვნის რეზერვი/კორექტირება	(641 770)	(714 592)
სულ სავაჭრო მოთხოვნები (2020 წ. ადრე წარდგენილი 7 803 153 ლარი)	10 153 845	7 802 796

შენიშვნა 14. სხვა აქტივები

	<i>31.12.2021</i>	<i>31.12.2020</i>
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	61	810
სახელმწიფო ბაჟი	8 480	9 648
საპენსიო ფონდი (2020 წ. ადრე წარდგენილი 961 ლარი)	-	924
სულ სხვა აქტივები (2020 წ. ადრე წარდგენილი 11 419 ლარი)	8 541	11 382

შენიშვნა 15. მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები

	<i>31.12.2021</i>	<i>31.12.2020</i>
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	68 261	17 483
არარეზიდენტ მომწოდებლებზე გადახდილი ავანსი	1 351 617	0
სულ მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	1 419 878	17 483

შენიშვნა 16. ფულადი სახსრები და ექვივალენტები

	<i>31.12.2021</i>	<i>31.12.2020</i>
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	8 438	16 718
მიმდინარე ანგარიშები ეროვნულ ვალუტაში	2 246 579	549 757
მიმდინარე ანგარიშები უცხოურ ვალუტაში	18 365	36
სულ ფულადი სახსრები და ექვივალენტები	2 273 382	566 511

შენიშვნა 17. კაპიტალი

	<i>31.12.2021</i>	<i>31.12.2020</i>
საწესდებო კაპიტალი	249 872	249 872
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი) (2020 წ. ადრე წარდგენილი (7 848 250) ლარი)	(5 329 542)	(7 870 061)
გადაფასების რეზერვი	954 123,00	954 123,00
სულ კაპიტალი	(4 125 547)	(6 666 066)

შენიშვნა 18. გრძელვადიანი სესხები

	<i>31.12.2021</i>	<i>31.12.2020</i>
გრძელვადიანი სესხი	1 957 087	0
სულ სესხები:	1 957 087	0

კომპანიას აღებული აქვს საქართველოს ბანკიდან 2021 წლის 29 აპრილს #11331935 ხელშეკრულების საფუძველზე სამწლიანი კრედიტი 350 000 აშშ დოლარის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადაა 25.04.2024 წლამდე, საპროცენტო განაკვეთი 5%, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 5,3%. საკუთრებაში არსებული საოფისე ფართი ბანკის მიერ დატვირთულია იპოთეკით.

შენიშვნა 19. სავაჭრო ვალდებულებები

	<i>31.12.2021</i>	<i>31.12.2020</i>
მოწოდებიდან ან მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები (2020 წ. ადრე წარდგენილი 29945 ლარი)	76 487	30 427
მოწოდებიდან ან მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები ვალუტაში	18 412 009	19 019 833
სულ სავაჭრო ვალდებულებები (2020 წ. ადრე წარდგენილი 19 049 778 ლარი)	18 488 496	19 050 260

შენიშვნა 20. სხვა ვალდებულებები

	<i>31.12.2021</i>	<i>31.12.2020</i>
ვალდებულებები პერსონალის წინაშე	117 531	35 181
საპენსიო გადასახადი	2 787	-
გადასახდელი პროცენტები	12 250	-
სულ სხვა ვალდებულებები	132 568	35 181

შენიშვნა 21. მიღებული ავანსები

	<i>31.12.2021</i>	<i>31.12.2020</i>
მიღებული ავანსები (2020 წ. აღრე წარდგენილი 116 785 ლარი)	447 775	116 614
სულ მიღებული ავანსები	447 775	116 614

შენიშვნა 22. საგადასახადო ვალდებულება

	<i>31.12.2021</i>	<i>31.12.2020</i>
გადასახადების ერთიანი ანგარიში (2020 წ. აღრე წარდგენილი 80621 ლარი)	-176 770	-80 618
საშემოსავლო გადასახადი	27 453	14 465
მოგების გადასახადი	22 142	25 767
გადასახდელი დღგ	121 326	368 752
იმპორტის დღგ	220 997	228 846
ქონების გადასახადი	3 274	3 425
სულ საგადასახადო ვალდებულება (2020 წ. აღრე წარდგენილი 560 634 ლარი)	218 422	560 637

შენიშვნა 23. მოკლევადიანი სესხები

	<i>31.12.2021</i>	<i>31.12.2020</i>
მოკლევადიანი სესხი	1 084 160	0
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	1 869 035	0
სულ სესხები:	2 953 195	0

კომპანიას საქართველოს ბანკიდან 2021 წლის 29 აპრილს #7206152 ხელშეკრულების საფუძველზე გახსნილი აქვს ერთწლიანი საკრედიტო ხაზი 350 000 აშშ დოლარის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადაა 26.04.2022 წლამდე, საპროცენტო განაკვეთი 5%, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 5,2%.

კომპანია შენიშვნა 18-ში აღწერილი მიღებული სესხებიდან აღიარებს მიმდინარე სესხად იმ ნაწილს, რომლის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში.

შენიშვნა 24. პირობითი გარემოებები

პოლიტიკური გარემო და რეგულაცია

საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს ხელისუფლების მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

სამართლებრივი დავები

კომპანიის მიერ სასამართლო დავები მიმდინარეობს:

1. **შპს კომპი შოპი: (ს/კ 204576244)** 04.04.2019წ. შეტანილ იქნა სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში (საქმე N2/7132-19) შპს „კომპი შოპი“-ს (ს/კ 204576244) წინააღმდეგ, არსებული დავალიანების დაფარვასთან დაკავშირებით. 2019 წ. 27 სექტემბერს, სასამართლოს განჩინებით, შპს „კომპი შოპი“-ს დაეკისრა შპს „ელკო დისტრიბუშენ“-ის სასარგებლოდ 21 313,27 (ოცდაერთი ათას სამას ცამეტი ლარი და 27 თეთრი) ლარის გადახდა.

მოსალოდნელი შედეგი: 2020 წლის 18 ნოემბრის N D0920-001 შეთანხმების თანახმად, შპს „კომპი შოპი“-მა აიღო ვალდებულება გადაუხადოს შპს „ელკო დისტრიბუშენ“-ს 5000 ლარი 2020 წლის დასრულებამდე. აღნიშნული ვალდებულების შესრულების შემდეგ შპს „ელკო დისტრიბუშენ“-ი უზრუნველყოფს დარჩენილი დავალიანების ჩამოწერას. შპს კომპი შოპი-მა შეასრულა შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულება, კერძოდ უზრუნველყო 5000 ლარის გადახდა შპს ელკო დისტრიბუშენის სასარგებლოდ, რის შემდეგაც შპს ელკო დისტრიბუშენ-მა უზრუნველყო დარჩენილი დავალიანების ჩამოწერა 16 313.27 ლარის ოდენობით.

2. **შპს ტექნო ბუმი: (ს/კ 205286199):** რაც შეეხება შპს „ტექნო ბუმი“-ს (ს/კ 205286199) საქმეს, რომელსაც გააჩნია დავალიანება შპს „ელკო დისტრიბუშენ“-ის მიმართ 273 819,32 (ორას სამოცდაცამეტი ათას რვაას ცხრამეტი ლარი და 32 თეთრი) ლარის ოდენობით, აღიარებულ იქნა კრედიტორად და კრედიტორთა რეესტრში შეყვანილ იქნა მე-6 რიგის მოთხოვნად.

მოსალოდნელი შედეგი: კომპანია იმყოფება დროებით რეაბილიტაციის რეჟიმში. რეაბილიტაციის გეგმა წარდგენილია სასამართლოში. შპს „ელკო დისტრიბუშენ“ ელოდება სასამართლოს სხდომას, რათა მოხდეს რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცება.

3. **შპს „ეი და ეი კომპიუტერს თრეიდი“ (ს/კ 202462833)** შეტანილია სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში, დავის საგანს წარმოადგენს დავალიანების - 52 621,45 ლარის (პლუს სასამართლო ხარჯები) ანაზღაურება. სარჩელი ვერ ჩაბარდა მოპასუხეს, წარდგენილია შუამდგომლობა საჯარო გავრცელებასთან დაკავშირებით. სასამართლოში შეტანის თარიღი - 09 ივნისი 2020 წელი, რეგისტრაციის ნომერი - 20003725230.

სასამართლომ გზავნილი გადასცა პოლიციას, თუმცა პოლიციის მიერ ვერ იქნა გზავნილი ჩაბარებული. სასამართლოს მიერ მოძიებული იქნა დირექტორის მისამართი, რომელზეც გადაგზავნილია მასალები.

მასალები ჩაიბარა დავით ალვარიძემ, წარმოდგენილია შესაგებელი (მოპასუხე მიუთითებს ხანდაზმულობაზე). პირველი ინსტანციის სასამართლომ უარი განაცხადა სარჩელის დაკმაყოფილებაზე მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო. სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებული იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

მოსალოდნელი შედეგი: მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენს 2014 წლის 18 დეკემბრის შედარების აქტი, რის გამოც მოპასუხე უთითებს ხანდაზმულობაზე. ხანდაზმულობასთან დაკავშირებით კომპანიას აქვს საწინააღმდეგო პოზიცია, თუმცა სასამართლომ არ გაითვალისწინა და მოთხოვნა მიიჩნია ხანდაზმულად.

4. **შპს „კომპლექს პროექტს“ (ს/კ 205188580)** შეტანილია სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში, დავის საგანს წარმოადგენს დავალიანების - 59 062,4 ლარის და 10 740 აშშ დოლარის (პლუს სასამართლო ხარჯები) ანაზღაურება. გაგზავნილია სარჩელი და თანდართული მასალები. სასამართლოში შეტანის თარიღი - 23 ივლისი 2020 წელი, რეგისტრაციის ნომერი - 20003795378.

მოსალოდნელი შედეგი: კომპანიის მიერ დაყენებულია შუამდგომლობა გადაწყვეტილების საჯაროდ გავრცელებასთან დაკავშირებით. მოხდა გადაწყვეტილების საჯარო გამოქვეყნება და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში. ამოიწერა სააღსრულებო ფურცელი. სააღსრულებო ფურცელი წარედგინა სააღსრულებო ბიუროს აღსასრულებლად. მიმდინარეობს აღსრულება.

5. **შპს „Complex pro“ (ს/კ 211342242)** შეტანილია სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში, დავის საგანს წარმოადგენს დავალიანების - 79 885,17 ლარის (პლუს სასამართლო ხარჯები) ანაზღაურება. სარჩელი და თანდართული მასალები ჩაბარდა მოპასუხეს. სასამართლოში შეტანის თარიღი - 16 ივნისი 2020 წელი, რეგისტრაციის ნომერი - 20003736034.

შედეგი: სასამართლოს გადაწყვეტილებით მოპასუხეს დაეკისრა მოთხოვნილი თანხა. 2021 წ. 17 მარტს შპს „Complex pro“-მ სრულად დაფარა დავალიანება.

6. **შპს „ენ-ჯი-ეს გრუპი“ (ს/კ 405112676)** შეტანილია სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში, დავის საგანს წარმოადგენს დავალიანების - 75 678,00 ლარის და 4 542 აშშ დოლარის (პლუს სასამართლო ხარჯები) ანაზღაურება. გაგზავნილია სარჩელი და თანდართული მასალები. სასამართლოში შეტანის თარიღი - 19 აგვისტო 2020 წელი, რეგისტრაციის ნომერი - 20003863527.

მოსალოდნელი შედეგი: 2016 წლის 22 ნოემბრის სამმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „ენ-ჯი-ეს გრუპი“-ს წარმოეშვა შპს „ელკო დისტრიბუშენ“-ის მიმართ 82 178 ლარის ოდენობით დავალიანება.

დაზუსტდა დავალიანება: მოთხოვნას წარმოადგენს 75 658,42 ლარის და 4542 აშშ დოლარის ექვივალენტის ღირებულება.

ბოლო სხდომა ჩატარდა 2021 წლის 06 ივლისს, სასამართლომ გადაწყვეტილების გამოცხადება გადადო 2021 წლის 04 აგვისტოს. 2021 წლის 04 აგვისტოს გადაწყვეტილებით შპს ელკო დისტრიბუშენის სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად. მოპასუხის მიერ წარდგენილია სააპელაციო საჩივარი. მოხდა გასაჩივრება, საქმე გადაგზავნილია სააპელაციო სასამართლოში, სხდომა არ ჩანიშნულა.

7. შპს „სმაილი 2006“ (ს/კ 405150330) შეტანილია სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში, დავის საგანს წარმოადგენს დავალიანების - 9 402,56 ლარის (პლუს სასამართლო ხარჯები) ანაზღაურება. გაგზავნილია სარჩელი და თანდართული მასალები.

სასამართლოს მიერ გზავნილის ჩაბარება დავალეზული აქვს პოლიციას. პოლიციიდან სასამართლოს ჯერ პასუხი არ მიუღია.

მოხდა გადაწყვეტილების საჯაროდ გავრცელება. ძალაში შესვლის შემდეგ დაიწყება აღსრულების პროცედურები.

8. შპს „ეს.ეს.ჯი.“ (ს/კ 406299606) შეტანილია სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში, დავის საგანს წარმოადგენს დავალიანების - 4 286,47 აშშ დოლარის (პლუს სასამართლო ხარჯები) ანაზღაურება. გაგზავნილია სარჩელი და თანდართული მასალები.

ასევე მოპასუხეს გაეგზავნა დამატებითი წერილი დავალიანების დაფარვის მოთხოვნით.

მოპასუხემ წარმოადგინა შესაგებელი, რომლითაც არ ეთანხმება კომპანიის მოთხოვნას. შპს „ეს.ეს.ჯი.“ სასამართლოს გადაწყვეტილებით დაეკისრა თანხის გადახდა. მიმდინარეობს აღსრულების პროცედურები.

9. შპს „მეტრომარტ“-ი (ს/კ 401975662) შეტანილია სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში. დავის საგანს წარმოადგენს დავალიანების 17 264,43 ლარის ანაზღაურება.

მხარეთა შორის მოხდა მორიგება და შეთანხმდნენ გადახდის გრაფიკზე. დავალიანება განულდა 2022 წლის 1 აგვისტოს.

10. მოსარჩელე იესე ხუხუნაშვილი, მოპასუხე შპს „ელკო დისტრიბუშენ“.

დავის საგანი, 2020 წლის აპრილი თვის ხელფასის 600 აშშ დოლარის ანაზღაურება პლუს 0.07% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. 2200 აშშ დოლარის ანაზღაურება პლუს 0.07% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

2021 წლის 06 სექტემბრის გადაწყვეტილებით შპს „ელკო დისტრიბუშენს“ დაეკისრა 600 აშშ დოლარი და მისი 0.07%. ასევე დაეკისრა 2200 აშშ დოლარი.

გადაწყვეტილება ჯერ არ ჩაბარებია კომპანიას. ექვემდებარება გასაჩივრებას.

გადაწყვეტილება გასაჩივრებული იქნა ფორმალურად. დასაბუთებული გადაწყვეტილება არ არის ჩაბარებული.

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

გარემოს დაცვითი საკითხები

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, სწრაფად ვითარდება. საგადასახადო და მარეგულირებელ კანონმდებლობას ახასიათებს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია. საქართველოს ეკონომიკის მომავალი მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ფაზაშია. შესაბამისად, მსოფლიოში მიღებული სადაზღვევო დაცვის ბევრი ფორმა ჯერჯერობით საქართველოში სრულად ხელმისაწვდომი არ არის. კომპანიას არ გააჩნია სრული სადაზღვევო დაფარვა თავის მოძრავ ქონებაზე, საქმის შეწყვეტაზე ან მესამე პირის ვალდებულებაზე კერძო საკუთრებასთან მიმართებაში, ან შემთხვევითობის წყალობით წამოჭრილი რაიმე გარემო ზიანზე კომპანიის საკუთრების ან ოპერაციების მიმართ. სანამ კომპანია მიიღებს შესაფერის სადაზღვევო დაფარვას, არსებობს რისკი, რომ ზარალს ან ზოგიერთი აქტივის განადგურებას შეიძლება ჰქონდეს მატერიალური უარყოფითი ზეგავლენა კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ პოზიციაზე.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც დიდწილად ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებასთანაა დაკავშირებული. ბოლო წლებში განხორციელებული ეს ცვლილებები გარკვეულწილად ნიადაგის შემამზადებელი ხასიათისაა და მომავალში მეტი ცვლილებაა მოსალოდნელი ევროკავშირთან დაახლოების სამოქმედო გეგმის განხორციელების პარალელურად.

კომპანია სარგებლობს სადაზღვევო მომსახურების სერვისით, რომელიც მოიცავს ოფისის შენობის, მარაგების, სატრანსპორტო საშუალებების და თანამშრომელთა ჯამრთელობის დაზღვევას.

შენიშვნა 25. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია მსს ფასს 33 განყოფილებაში „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“, წარმოადგენს:

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

- (i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- (ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან
- (iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

- (i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);
- (ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
- (iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;
- (iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;
- (v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;
- (vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;
- (vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;
- (viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

თითოეულ შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას, საწარმომ უნდა შეაფასოს თავად ურთიერთობის შინაარსი და არა მარტო მისი იურიდიული ფორმა. კომპანიისა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

გარიგებები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

2021 წ.	ურთიერთობა	შემოსავალი დაკავშირებუ ლი მხარეებისაგან	ხარჯები დაკავშირებუ ლი მხარეებისაგან	მისაღები თანხა/(დავალიანე ბა)
Elcore Distribution AG	საწარმო საერთო კონტროლის ქვეშ	156 246	(79 434 879)	(15 868 228)
ELCO DISTRIBUTION ARMENIA	საწარმო საერთო კონტროლის ქვეშ	1 884 678	(4 850)	191 589
ELCORE DISTRIBUTION AZ LLC	საწარმო საერთო კონტროლის ქვეშ	488 445	-	451 440
ზურაბ ჭუმბაძე	დირექტორი	7 818	-	506
		2 537 187	(79 439 729)	(15 224 693)

2020 წ.	ურთიერთობა	შემოსავალი დაკავშირებუ ლ მხარეებისაგან	ხარჯები დაკავშირებუ ლი მხარეებისაგან	მისაღები თანხა/(დავალიანე ბა)
Elcore Distribution AG	საწარმო საერთო კონტროლის ქვეშ	174 340	(36 229 971)	(14 637 538)
ELCO DISTRIBUTION ARMENIA	საწარმო საერთო კონტროლის ქვეშ	1 015 252	(112 025)	(71 368)
ELCORE DISTRIBUTION AZ LLC	საწარმო საერთო კონტროლის ქვეშ	612 490	(133 668)	81 878
ზურაბ ჭუმბაძე	დირექტორი	15 792		-
		1 802 083	(36 475 664)	- (14 627 028)

Elcore Distribution AG არის შპს ელკო დისტრიბუშენისათვის საქონლის ძირითადი მომწოდებელი; მასზე მიყიდულია საქონელი;

ELCO DISTRIBUTION ARMENIA შპს ელკო დისტრიბუშენი ახდენს საქონლის რეალიზაციას, ასევე მისგან აქვს შეძენილი საქონელი;

ELCORE DISTRIBUTION AZ LLC შპს ელკო დისტრიბუშენი ახდენს საქონლის რეალიზაციას; 2020 წ. აქვს მისგან საქონლის შეძენის ოპერაციებიც.

ზურაბ ჭუმბაძე - კომპანიისაგან შეძენილი აქვს საქონელი.

მენეჯმენტის შრომის ანაზღაურება	2021	2020
დირექტორი - ხელფასი	326 532	244 027

შენიშვნა 26. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს კომპანიის უნარიანობა გააგრძელოს თავის საქმიანობა ისე, რომ მფლობელები შემოსავლით უზრუნველყოს; და
- უზრუნველყოს ადეკვატური შემოსავალი მფლობელებისთვის მომსახურების შეფასებით რისკის დონის თანაზომიერად.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების ცვლილებების გათვალისწინებით.

აღნიშნულის განსახორციელებლად, შესაძლებელია კომპანიამ დააკორექტიროს გადასახდელი დივიდენდების თანხები, დააბრუნოს კაპიტალი, გაზარდოს კაპიტალი, ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის 249 872 ლარი.

შენიშვნა 27. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

„საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები“ მოიცავს ყველა მოვლენას, რომელიც მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცების თარიღამდე.

2022 წელში კომპანია გრაფიკის მიხედვით ფარავს 2021 წელს აღებულ სესხებს.

კომპანიას საქართველოს ბანკიდან 2022 წლის 31 მარტის #14008752 ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული აქვს ბიზნეს სესხი 300 000 აშშ დოლარის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადაა 26.09.2022 წლამდე, წლიური საპროცენტო განაკვეთი 6%, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 6,6%, რომელიც დროულად დაფარულია.

კომპანიას საქართველოს ბანკიდან 2022 წლის 16 მაისის #14497398.1 ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული აქვს ბიზნეს სესხი 1 000 000 ლარის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადაა 25.05.2023 წლამდე, წლიური საპროცენტო განაკვეთი 14,3%, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 15,6%.

კომპანიას საქართველოს ბანკიდან 2022 წლის 24 ივნისის #14829422 ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული აქვს ბიზნეს სესხი 2 450 000 ლარის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადაა 20.06.2024 წლამდე, წლიური საპროცენტო განაკვეთი 14,9%, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 16,1%.

კომპანიას საქართველოს ბანკში 2022 წლის 24 ივნისის #14829422.1 ხელშეკრულების საფუძველზე გახსნილი აქვს საკრედიტო ხაზი 550 000 ლარის მოცულობით, რომლის მოქმედების ვადაა 20.09.2022 წლამდე, წლიური საპროცენტო განაკვეთი 14,9%, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 16,6%, რომელიც დროულად დაფარულია.

საკუთრებაში არსებული საოფისე ფართი ბანკის მიერ დატვირთულია იპოთეკით.

კომპანიამ 2022 წელს 1 250 000 აშშ დოლარად შეიძინა უძრავი ქონება, სადაც განთავსდება, როგორც ოფისი, ასევე სასაწყობო მეურნეობა. აღნიშნული ქონებაც საქართველოს ბანკის მიერ დატვირთულია იპოთეკით.

შენიშვნა 28. ფინანსური ანგარიშგების დამოწმება

ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია და დამოწმებულია მენეჯმენტის მიერ 2022 წლის 30 სექტემბერს.

შპს ელკო დისტრიბუშენ
მმართველობის ანგარიშგება
საქმიანობის მიმოხილვა 2021 წელი

1. კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა

ზოგადი ინფორმაცია

შპს „ელკო დისტრიბუშენ“ ს/კ 205280667, შექმნილია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და წარმოადგენს თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 10.06.2009 წელს რეგისტრირებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას.

კომპანიის იურიდიული მისამართია - საქართველო, თბილისი, ზურაბ და თეიმურაზ ზალდასტანიშვილების 3.

კომპანიის დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელია Elcore Solutions Asp. (დანაშინი სამეფო). კომპანია არის საერთაშორისო ჰოლდინგის შვილობილი კომპანია. დღეის მდგომარეობით ჰოლდინგი ახორციელებს იდენტურ საქმიანობას რამოდენიმე ქვეყანაში პოსტ-საბჭოურ სივრცეში (ბელარუსი, უკრაინა, მოლდოვა, სომხეთი, უზბეკეთი, აზერბაიჯანი, თურქმენეთი, მონღოლეთი).

კომპანიის საქმიანობის ძირითად პროფილს წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა იმპორტირებული საქონლით, კერძოდ: კომპიუტერებით, კომპიუტერული პერიფერიული მოწყობილობებით, (პრინტერები, აქსესუარები) მობილური ტელეფონებით, ტელევიზორებით, ქსელური მოწყობილობებით, საყოფაცხოვრებო. აიტი ტექნიკით და პროგრამული უზრუნველყოფით.

მოგეხსენებათ, რომ კონკურენცია საბითუმო (დისტრიბუციის) ბაზარზე, განსაკუთრებით კი IT-ტექნიკის სეგმენტში, საქართველოში ძალიან მაღალია. ასევე, ბაზრის მოთხოვნიდან გამომდინარე, ხშირ შემთხვევაში კომპანია იძულებულია გაუწიოს კლიენტებს (პარტნიორ კომპანიებს) ფინანსური სერვისი, რომელიც

გამოიხატება ხანგრძლივ კონსიგნაციაში (სასაქონლო კრედიტებში). ხშირ შემთხვევაში ეს პერიოდი შეადგენს 30 კალენდალურ დღეზე მეტს. კომპანიის ძირითადი საქმიანობა წარმოადგენს ქვეყანაში კომპიუტერული ტექნიკის და აქსესუარების იმპორტს. აქედან გამომდინარე, კომპანიის ფინანსური შედეგები მკვეთრად დამოკიდებულია ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილურობაზე. საანგარიშო პერიოდში ლარის კურსის გაუფასურებამ რამდენჯერმე გადააჭარბა კომპანიის სტანდარტული მოგების (ფასნამატის) ნორმას.

წლების განმავლობაში კომპანიამ წარმატებით დაიმკვიდრა ადგილი სადისტრიბუციო ბაზარზე და ბაზრის ერთ-ერთ ლიდერად ჩამოყალიბდა.

2. ბიზნეს ოპერაციები

როგორც უკვე აღინიშნა შპსს ელკო დისტრიბუშენი არის ტექნიკის იმპორტიორი საქართველოში. პროდუქციის იმპორტი ხდება როგორც გერმანიიდან, ისე ჩინეთიდან, ჩეხეთიდან და სხვა ქვეყნებიდან.

2020 წელს მსოფლიო პანდემიის ვითარებამ საკმაოდ დიდი გამოწვევის წინაშე დააყენა კომპანიის ბიზნესი მოდელი. კორონა ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით დაწესებულმა საპაერო შეზღუდვებმა რისკის ქვეშ დააყენა მარაგების დროულად შევსების საკითხი. ამ გამოწვევის საპასუხოდ, კომპანიის მენეჯმენტს მოუხდა სრულად გადაეწყო მომარაგების სქემა, რათა პროდუქციის მოსალოდნელი დეფიციტებისთვის აერიდებინა თავი და შედეგად, მომხმარებელთა შეკვეთების დაკმაყოფილება ყოველთვის სრულად და დროულად ხდებოდა.

3. პროდუქცია


ყოველწლიურად ელკო დისტრიბუშენი მომხმარებლებს მუდმივად მზარდ ასორტიმენტს სთავაზობს. კომპანიის პორტფელშია ისეთი ბრენდები როგორიცაა




პროდუქცია იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

- სმარტფონები
- ქსელური აპარატურა
- სასერვერო ინფრასტრუქტურის პროდუქტები
- მონიტორები
- პრინტერები
- უწყვეტი კვების ბლოკები
- ნოუტბუქები
- პლანშეტები
- კომპიუტერის აქსესუარები
- ტელევიზორები
- წვრილი საყოფაცხოვრებო ტექნიკა
- ვიდეომეთვალყურეობის სისტემები
- ქსელური აპარატურის გარანტიები
- მაიკროსოფტის ლიცენზიები

ბრენდის გაყიდვები წლების მიხედვით



პროცენტული წილი წლის მთლიან გაყიდვებში



4. კომპანიის ძირითადი კონკურენტები


საქართველოში ტექნიკის ბაზარზე საკმაოდ მკაცრი კონკურენციაა. აქ ოპერირებენ როგორც მსხვილი, ასევე წვრილი იმპორტიორები.

კომპანიის ძირითად კონკურენტებად მიიჩნევა შემდეგი დისტრიბუტორები:

- მარველ ჯორჯია
- ევო დისტრიბუშენ
- მუკ თბილისი
- ალფა დისტრიბუშენ

5. ორგანიზაციული სტრუქტურა

2021 წლის ბოლოსათვის კომპანიაში საშუალოდ დასაქმებული იყო 21 ადამიანი, მათ შორის უმრავლესობა, მამრობითი სქესის. ასაკობრივი განაწილების მიხედვით კი ყველაზე მეტი თანამშრომელი კომპანიას ჰყავდა 40 წელზე დიდი ასაკის.




შპს „ელკო დისტრიბუშენი“ ცდილობს იყოს მაქსიმალურად მობილური და რაც შეიძლება უკეთ მოემსახუროს საკუთარ კლიენტებს. კომპანიის თანამშრომლების უმრავლესობას წარმოადგენენ ლოჯისტიკის განყოფილების თანამშრომლები და ბრენდ მენეჯერები, რაც გამოწვეულია საქმიანობის სპეციფიკიდან.

კომპანიის სტრუქტურა ჩამოყალიბებულია შედნეგნაირად:

- დირექტორი
- ფინანსური განყოფილება.
- შესყიდვებისა და გაყიდვების განყოფილება.
- ლოჯისტიკის განყოფილება.
- მარკეტინგის სამსახური.
- იურიდიული სამსახური.

თანამშრომლები ქვეგანყოფილებებში გადანაწილებულნი არაინ შემდეგნაირად (იხ.ცხრილი)



ელკო დისტრიბუშენი მუდმივად ზრუნავს თავისი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე. თანამშრომლები სისტემატურად იგზავნებიან საერთაშორისო მივლინებებში სხვადასხვა სემინარებზე, პრეზენტაციებსა და საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის მისაღებად. ყველა თანამშრომელი მუდმივად ინფორმირებულია სფეროში მომხდარი უკანასკნელი ცვლილებების შესახებ და სხვა მრავალ მიზეზთაგან ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ესაა რატომაც შპს ელკო დისტრიბუშენი რჩება მოწინავე კომპანიად ბაზარზე.

ასევე თანამშრომლებისათვის რეგულარულად მიმდინარეობს უცხო ენების ჯგუფური მეცადინეობები და კომპანიაში დასაქმებული პირები ამ მხრივაც ვითარდებიან. თანამშრომელთა განვითარების და მიტივაციის გაზრდის მიზნით ხშირი პრაქტიკაა მათი დაწინაურება უფრო საპასუხისმგებლო და მაღალანაზღაურებად თანამდებობებზე.

კომპანია უზრუნველყოფს საკუთარი თანამშრომლების ჯანმრთელობის დაზღვევას ხუთ ვარსკვლავიანი დაზღვევით, რაც გულისხმობს პირადი სადაზღვევო აგენტის სერვისით

სარგებლობას, მნიშვნელოვანი ფასდაკლებების მიღებას გეგმიურ სამედიცინო მომსახურებაზე და გადაუდებელი სამედიცინო პროცედურების უსასყიდლოდ ჩატარებას.

6. განვითარების გეგმები

2020 წლის 17 თებერვლიდან კომპანიაში მოხდა დირექტორის ცვლილება, რის შემდეგაც 2020 წლის 25 თებერვალს გამოცხადდა სტრუქტურული რეორგანიზაცია, რომლის მიზანიც იყო არამომგებიანი მიმართულებების და საშტატო ერთეულების გაუქმება და მაქსიმალური ფოკუსირება ბრენდებზე რომლებსაც მოაქვთ სტაბილური შემოსავალი.

კომპანიაში განხორციელდა მენეჯერების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, რამაც გამოიწვია ბრენდების პროდუქტიულობის ზრდა.

ცვლილებების შემდეგ დაფიქსირდა სხვა წლებთან შედარებით დადებითი ტენდენცია.

ყველა კომერციულ პარტნიორთან გაფორმდა დამატებითი სავალუტო ხელშეკრულებები, რომლის თანახმადაც ყველა ოპერაციის ანგარიშსწორება ხდება ეროვნული ბანკის მიმდინარე კურსით აშშ დოლართან მიმართ, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ზარალის რისკებს, რადგან კომპანიის მწარმოებლებთან ძირითადი ანგარიშსწორების ვალუტა აშშ დოლარია.

2021 წელს კომპანიამ წარმატებით დახურა რამდენიმე დიდი და მნიშვნელოვანი პროექტი, ისეთი დამკვეთებისთვის როგორიცაა: საქართველოს ბანკი, თბს ბანკი, ტერა ბანკი, ქუთაისის აეროპორტი, პროგრედიტ ბანკი, Adjara Group, Radisson Blue Iveria, Carrefour, მაგთი, სილქნეტი და სხვა.

2022 წელს კომპანიის პორტფელს დაემატა ისეთი ბრენდები როგორიცაა:

Nutanix, Hitachi , Rad, Eaton, Edge-Core, Maipo.

ამ მიმართულებებზე აქტიურად მიმდინარეობს დეპარტამენტის ჩამოყალიბების და კადრების მოძიების პროცესი.

ასევე განვიხილავთ აქტიურად ლოკალურ გუნდში დავამატოთ საინჟინრო გუნდი რათა შევძლოთ უფრო მარტივად და ოპერატიულად დამკვეთებისათვის სწორი გადაწყვეტილებების შეთავაზება.

7. კომპანიის რისკები და გაურკვევლობები.

ელკო დიტრიბუშმენის სავაჭრო პროდუქტი 99% იმპორტირებულია, შესაბამისად ფასების სტაბილურობა პირდაპირ კავშირშია ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის წარმართვასთან.

სავალუტო რისკი ტექნიკის ბაზრის ყველაზე დიდ რისკად იკვეთება, ფასების სტაბილურობა დამოკიდებულია გაცვლითი კურსის სტაბილურობაზე.

ტექნიკის ბაზარი ხასიათდება მაღალი კონკურენციით, კომპანია ყველა მსხვილ იმპორტიორ კომპანიას განიხილავს კონკურენტად.

კომპანიის რისკების და გაურკვევლობების მართვა, ერთ-ერთი მთავარი ყურადღების ობიექტია მენეჯმენტის მხრიდან. კომპანიის მენეჯმენტს კარგად აქვს გააზრებული საკუთარი პასუხისმგებლობა ყველა პარტნიორის, კლიენტისა თუ თანამშრომლის წინაშე და ცდილობს, რომ ორგანიზაციის თითოეულმა ნაბიჯმა, რაც შეიძლება მინიმალური ზიანი მოუტანოს მასთან დაკავშირებულ მხარეებს. საქმიანობის პროცესში წამოჭრილ რისკებს, ელკო დისტიბუშენი მათი დროულად აღმოჩენისა და პრევენციის მექანიზმებით უმკლავდება. აღნიშნული მექანიზმები მოიცავს: პროცედურებს, მონიტორინგს, შეზღუდვებს, ანალიზს და ავტომატიზაციას.

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი

ზურაბ ჭუმბაძე

